



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 76

ქალაქი ქუთაისი 30 მაისი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სამხედრო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მ/წლის 30 მაისს, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №44 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სამხედრო სამსახურის მიერ, 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 21 მაისამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სამხედრო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში დამაკმაყოფილებლად.

(ანგარიში წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია

ანგარიში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – სამხედრო სამსახურის მიერ
2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 21 მაისამდე გაწეული
მუშაობის შესახებ

ქუთაისის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სამხედრო სამსახური (შემდგომ – სამხედრო სამსახური) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საფუძველზე შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის მობილიზაციისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას. სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონების, სხვა კანონებისა და მათგან გამომდინარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სამხედრო სამსახური შედგება პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და გაწვევისა და სამობილიზაციო განყოფილებებისაგან.

პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და გაწვევის განყოფილება ახორციელებს მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანასა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას.

2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 1129 მოქალაქე წვევამდელი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 25 იანვრის №36 დადგენილებისა და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, 2018 წლის 26 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით, მიმდინარეობს მოქალაქეთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა.

დღევანდელი მდგომარეობით, გამწვევ კომისიაზე სულ გამოძახებული იყო 1363 წვევამდელი, გამოცხადებულია 886 წვევამდელი. მათგან 586 წვევამდელს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლებით მიეცათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლებისა და გადავადების უფლება. ქალაქ თბილისის წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტზე განხორციელებულია 9 ვიზიტი და გადაყვანილია 119 წვევამდელი. მათგან, სამხედრო ძალებში ჩარიცხულია და მსახურობს 49 წვევამდელი. მათ შორის: 22 წვევამდელი – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, 12 წვევამდელი – შინაგან საქმეთა სამინისტროში, 7 წვევამდელი – თავდაცვის სამინისტროში, 8 წვევამდელი – სასჯელთაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში. დანარჩენებს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სამედიცინო კომისიის მიერ მიეცათ გადავადებები სხვადასხვა დროით.

გამწვევ კომისიაზე არგამოცხადების გამო, 45 წვევამდელზე მასალები გადაგზავნილია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, რომელთაგან 16 წვევამდელი დაჯარიმდა 1000 ლარის ოდენობით, 2 წვევამდელს გამოეცხადა შენიშვნა. დანარჩენი სასამართლო პროცესები ჯერ არ დასრულებულა. გამწვევ კომისიაზე არგამოცხადების გამო, სახელობითი სიები 653 წვევამდელზე გადაეგზავნა შს სამინისტროს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს, მათი დაძებნისა და გამწვევ კომისიაზე წარმოდგენის მიზნით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი

სტრუქტურული ერთეულის – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურს გადაეგზავნა 382 წევრამდელის სახელობითი სია ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, რათა მოხდეს წევრამდელთა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების დადგენა.

სამობილიზაციო განყოფილება ახორციელებს რეზერვისტთა აღრიცხვასა და მათ სამხედრო სარეზერვო სამსახურში გასაწვევად გამოძახებას.

2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 602 რეზერვისტი, ხოლო აღრიცხვიდან სხვადასხვა მიზეზის გამო, მოხსნილია 67 რეზერვისტი. 21 რეზერვისტსა და წევრამდელს, მათი შემდგომში საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში გაწვევის მიზნით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მომართვების საფუძველზე შეექმნათ პირადი საქმეები და გადაეგზავნა აღნიშნულ უწყებას.

2018 წლის 1 იანვრიდან 21 მაისამდე სამხედრო სამსახურს სამსახურში შემოსული და შესრულებულია 1183 წერილობითი კორესპოდენცია. აღნიშნულ პერიოდში სამხედრო სამსახურის მიერ გაცემულია 25 წევრამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა და 101 რეზერვისტის დროებითი მოწმობა.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 25 იანვრის №36 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის მიერ განსაზღვრული გეგმა-დავალების შესრულებისათვის სამხედრო სამსახური მუშაობას ახორციელებს სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-8 სხდომაზე, 2018 წლის 30 მაისს, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სამხედრო სამსახურის ხელმძღვანელმა, ვ.ყენიამ.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია